საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მესტიის მუნიციპალიტეტი

მესტიის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერი-ტორიული ერთეული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მ. მ-ს აღმ-ით ესაზღვრება ლენტეხის, დას-ით – ოჩამჩირის, სამხრ-ით – ლენტეხის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები, ჩრდ-ით – რუსეთის ფედერაცია (ყაბ.-ბალყ. და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკები). ფართობი – 3044,5 *კმ* ^{2}, მოსახლეობა – 9316 (2014). ადმ. ცენტრი – დაბა მესტია. მ. მ-ში შედის 1 დაბა და 16 ადმ. ერთეული) ბეჩო, ეცერი, იდლიანი, იფარი, კალა, ლატალი, ლახამული, ლენჯერი, მულახი, ნაკრი, უშგული, ფარი, ცხუმარი, წვირმი, ჭუბერი, ხაიში).

ისტორიული ცნობა. ახლანდ. მ. მ-ის ტერიტ. შედიოდა კოლხეთის სამეფოში, ძვ. წ. IV–III სს-ში ქართლის სამეფოში შემავალი ეგრისის ტერიტორია იყო. ძვ. წ. II–I სს-ში – ეგრისის სამეფოს, I–IV სს-ში – სვანეთის სამთავროს, IV–VI სს-ში – ეგრისის სამეფოს, VII ს-ში – ეგრისის სამთავროს, VIII ს-ში – აფხაზეთის სამთავროს, IX–XI სს-ში – აფხაზთა სამეფოს, აფხაზთა და ქართველთა სამეფოსა და შემდეგ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში; იყო XIV ს-იდან შედიოდა ლიხთ-იმერეთის სამეფოში, XV ს-იდან – იმერეთის სამეფოში, XVI–XIX სს-ში კი სვანეთის საერისთავოსა და სვანეთის სამთავროში. ეკლესიურად ექვემდებარებოდა ცაიშისა და ცაგერის საეპისკოპოსოებს. 1858 სვანეთის სამთავრო გაუქმდა და 1917-მდე ეს ტერიტ., როგორც სვანეთის საბოქაულო, შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. 1921 საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფით გამოიყო ზემო სვანეთის მაზრად, 1930-იდან ადმ. რ-ნად გარდაიქმნა, 1953-იდან ზემო სვანეთის რ-ნს მესტიის რ-ნი ეწოდა, 2006-იდან კი – მ. მ.

ბუნება. მ. მ. (იგივე ზემო სვანეთი) საქართველოში ყველაზე მაღალმთიანი რელიეფით გამოირჩევა. მისი უმსხვილესი ოროგრაფიული ერთეულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რ-იც გადაჭიმულია მწვერვალებს – გვანდრასა და ნამყვამს შორის. თხემური ნაწილი თანდათან მაღლდება აღმ-ისაკენ და მაქსიმალურ სიმაღლეს მწვ. შხარის (5068 *მ*) მიდამოებში აღწევს. ამ ადგილს მეცნიერები „ბეზინგის კედელს“, სვანები კი „ფიცრულს“ უწოდებენ. სწორედ აქ არის თავმოყრილი კავკასიონის მთ. ქედის უმაღლესი მწვერვალები (გისტოლა, თეთნულდი, ჯანღა, შოთა რუსთაველი, შხარა, ნამყვამი, უშბა), 3000 *მ*-ზე მაღალი უღელტეხილები (ნაკრა, ბეჩო, მესტია, ტვიბერი, წანერი) და უდიდესი მყინვარები (ლეხზირი, წანერი, ტვიბერი). აგებულია კამბრიულისწინა და პალეოზოური გრანიტოიდებით, გნეისებითა და კრისტალური ფიქლებით, რ-ებზეც ჩამოყალიბებულია მაღალმთიანი ალპ. რელიეფი თანამედროვე გლაციალური ფორმებით. კავკასიონის ქედს უამრავი სამხრეთის განშტოება (შდავლერი, ცალგმილი, უშბა, უღვირი, ლაქუცა-ლარტყალი და სხვ.) გამოეყოფა, მ. შ. ყველაზე მნიშვნელოვანია სვანეთის ქედი, რ-იც ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფს წარმოადგენს. ქედის უმაღლესი მწვერვალია ლაჰილი (ზ. დ. 4010 *მ*), ასევე აღსანიშნავია ღვადარაში, ლეშვნილი, მეფყაში, უსკური, დადიაში. ამ ქედზე ყველაზე დაბალ ადგილად ლატფარის უღელტეხილი ითვლება (2825 *მ*). ქედი აგებულია პალეოზოური და იურული ფორმაციებით, გვხვდება მაღალმთიანი და მთა-ხეობათა რელიეფის ფორმებიც. 200–2100 *მ* სიმაღლემდე ქედი ტყითაა შემოსილი, უფრო მაღლა გვხვდება ალპ. მდელოები, ხოლო მის მაღალ ნაწილში, მწვ. ლაილას ფერდობებზე, თანამედროვე მყინვარები. მ. მ-ის სამხრ. საზღვარს მიუყვება ეგრისის ქედი, რომლის თხემზეც აღმართულია 3000 *მ*-ზე მაღალი მწვერვალები (ოთეფური, ლაკუმურაშდუდი და სხვ.) და უღელტეხილები (ზანდარაკი, ნატატაშდუდი და სხვ.). აგებულია შუა იურული ასაკის წყებებით, ჩამოყალიბებულია მაღალმთიანი ალპ. ტიპის მთა-ხეობათა რელიეფი თანამედროვე გამყინვარებითა და ძვ. გამყინვარების კარგად შემორჩენილი კვალით. მთავარ ქედსა და სვანეთის ქედს შორის ქვაბულში გაუყვება მდ. ენგურის ხეობა, რ-საც სხვადასხვა მონაკვეთებზე განსხვავებული მორფოლოგიური ფორმა აქვს – ზემო დინებაში ტროგული ფორმისაა და აგებულია იურული თიხა-ფიქლებით და ქვიშაქვებით. შემდეგ აქა-იქ შეინიშნება ეროზიული საფეხურები, რ-ებზეც გაშენებულია სოფლები (დავბერი, ლალხორი, ვიჩნაში, ბოგრეში). ლატალთან ხეობა ფართოვდება და გვხვდება ერატიკული ლოდები, მდ. ნაკრის შესართავიდან კი ვიწრო, ზოგან კანიონისებრი ღრმა განივი ხეობა აგებულია პალეოზურ-ტრიასული მეტამორფული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით.

მ. მ. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ლითონური წიაღისეულიდან მოიპოვება ტყვია-თუთია (მდ-ების – მესტიაჭალისა და მულხრას აუზები) და ქვიშრობული ოქრო (მდ-ების – ლასილჭალისა და ხაჩრულის აუზები); მინერ. სამშენებლო მასალებიდან – მარმარილო (დიზი, ჭუბერი); ქიმიური ნედლეულიდან – ბარიტი (ხაიში), აგრეთვე უხვადაა მინერ. წყლები (ნაკრა, ბეჩო, წანერი, ლახამულა, მესტია, ხალდე).

ჰ ა ვ ა. მ. მ. ზღვის ნოტიო სუბტროპ. ოლქში მდებარეობს და ახასიათებს ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა: ა) ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით (ენგურის ხეობა ხაიშს ქვემოთ); ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 9–10,5^{0}C, იანვ.–0,1, – 1^{0}C, ივლ. – 19–21^{0}C, აბსოლ. მინ. – -22–23^{0}C, აბსოლ. მაქს.–40–41^{0}C; ბ) ნოტიო ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით (ენგურის ხეობა ხაიშსა და მესტიის მიდამოებს შორის); საშ. წლ. ტემპ-რა 5,7-იდან 7^{0}C-მდეა; იანვ. – -6,4^{0}C, ივლ.–16,4–18^{0}C აბსოლ. მინ. – -32–35^0 C, აბსოლ. მაქს. – 35–39^0 C; გ) ტენიანი ჰავა ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით (ტყიანი ზონის ზედა სარტყელი); დ) მაღალმთიანი ტენიანი ჰავა ნამდვილ ზაფხულს მოკლებული (ალპ. სარტყელი); ე) მაღალმთიანი ნივალური ჰავა მუდმივი თოვლითა და მყინვარებით (კავკასიონის მთავარი ქედი, კოდორისა და სვანეთის ქედების უმაღლესი ნაწილები), ნალექები მერყეობს 1000-დან 2500 *მმ*-მდე.

შ ი დ ა წ ყ ლ ე ბ ი დ ა ნ აღსანიშნავია მდინარეთა უხვი ქსელი, რ-ებიც საზრდოობენ წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლებით. მთავარი არტერიაა ენგური, რ-ის მარჯვ. შენაკადებია: ნენსკრა, ნაკრა, დოლრა, მულხრა მესტიაჭალიანად, ორმელეთი, ლარაკვაკვა და სხვ.; მარცხ. – მუშურიწყალი, ყოშრა, ლასილი, ჰარშურა, ლაილჭალა, ხუმფრერი, ხელრა, იფარი, კასლეთი, ხუბერი. ტბებიდან აღსანიშნავია: უღვირი, უნცრაში, ადიში, ნამყვამი, დალარი, ოქროწყალი. კავკასიონის სამხრ. ფერდობის უგრძესი და უდიდესი მყინვარებია: ლეხზირი, წანერი, ტვიბერი, ჰადიში, ჭალაათი, ყვითლოდი, შხარა, ლაჰილი, დოლრა, უშბა, ხალდე და სხვ. მდიდარია მინერ. წყლებით. ნახშირორჟანგიანი წყაროებია ენგურის (ლახამული, იფარი, ჰადიში, ხალდე, კალა), მულხრის (მესტია, მულახი), ნაკრის (ნაკრა, ლენქვაში), ნენსკრის, ლაჰილჭალის ხეობებში; თერმული გოგირდწყალბადიანი წყარო – ლაბრაში (იფარი), ცივი გოგირდწყალბადიანი წყაროებია ლასილი, ბოგრეში, კასლეთი.

ნ ი ა დ ა გ ე ბ ი დ ა ნ აღსანიშნავია მთის ტყეების ყომრალი (რეგიონის უმეტეს ნაწილში 2000 *მ* სიმაღლეზე) ნიადაგები, ხოლო ტყის ზონის ზევით – მთის მდელოებისა და ალპ. ზონის პრიმიტიული, მცირე სისქის მთის მდელოს ნიადაგებია, მდინარეთა ხეობებში კი ფრაგმენტებად – მდელოს ალუვიური ნიადაგები.

მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ი ს ა ფ ა რ ი. ენგურის ხეობის ქვემო წელში გავრცელებლია კოლხური ტიპის წიფლნარ-რცხილნარი, ხეობის ფერდობებზე – დას. საქართველოს ტიპის წიფლის ტყეები, რ-საც ნეკერჩხალი, რცხილა და სხვ. ურევია; ტყის ზემო სარტყელში – ნაძვისა და სოჭის ტყეები; ზ. დ. 1700–2100 *მ* სიმაღლეზე – სუბალპ. ტყეები და ფიჭვნარის ცალკეული კორომები; 2000–2200 *მ* ზემოთ – სუბალპ. მდელოები და დეკიანები, უფრო მაღლა – ალპ. მდელოები; მდინარეთა ჭალებში გავრცელებულია მურყნარი.

ცხოველთა სამყარო. მ. მ-ში ბინადრობს მურა დათვი, მგელი, არჩვი, თეთყელა კვერნა, მაჩვი, მელა, ტურა, დედოფალა. ალპურ ზონაში გგვხვდება ჯიხვი, პრომეთეს მემინდვრია; ფრინველებიდან – კავკ. როჭო, დურაჯი, კავკ. შურთხი, არწივი და სხვ. მდ-ებში მრავალია თევზი, მ. შ. კალმახი.

ძირითადი ლანდშაფტები. მ. მ-ში ჩამოყალიბებულია: 1. ნოტიოჰავიანი მთის ტყის ლანდშაფტი ქვეტიპებით – წიფლნარ-რცხილნარი; წიფლნარი და წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყის ლანდშაფტი; 2. მთა-მდელოს ლანდშაფტი ქვეტიპებით: სუბალპ. ტყე-ბუჩქნარი და მთის მდელო; 3. გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი სუბნივალური და ნივალური ქვეტიპებით.

მოსახლეობა. მოსახლეობის 99,82% ქართველია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე 3.09 კაცი 1 *კმ* ^{2}-ზე (2014).

მეურნეობა. წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. მკაცრი კლიმატისა და მთიანი რელიეფის გამო უპირატესად განვითარებულია მეცხოველეობა, კერძოდ, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება. მიწათმოქმედება შეზღუდულია. მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი, საკვები კულტურები, მცირედ – მარცვლეული კულტურები.

მრეწველობა სუსტადაა განვითარებული და წარმოდგენილია ხეტყის დამზადების რამდენიმე საწარმოთი. ბარიტისა და მარმარილოს მოპოვება და გადამუშავება ამჟამად შეწყვეტილია. ადგილობრივი ნაწარმიდან აღსანიშნავია მატყლისგან დამზადებული სვანური ქუდები, ნაბდები, სვანი ოსტატების მიერ შექმნილი ოქრომჭედლობისა და ხეზე კვეთის ნიმუშები.

სატრანსპორტო სისტემაში მთავარ როლს ასრულებს ავტოტრანსპორტი. მესტია საქართველოს ბართან დაკავშირებულია მესტია – ზუგდიდის საავტომობილო გზით (136 *კმ*). მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი. მესტიაში ზ. დ. 1400 *მ*-ზე მდებარეობს თამარ მეფის სახ. აეროპორტი, საიდანაც სრულდება რეისები ნატახტრისა და ქუთაისის მიმართულებით.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპ-ში ფუნქციონირებს 51 საჯარო სკოლა, 43 ბ-კა, ხატწერის სკოლა, საერთაშ. საგანმან. სისტემაში ინტეგრირებული პროფ. კოლეჯი, მხარეთმცოდნეობისა და მ. ხერგიანის მუზეუმები, შპს მესტიის საავადმყოფო-ამბულ. გაერთიანება, თანამედროვე სტანდარტების სამედ. ლაბორატორია „მედიქალ ვორლდის“ ფილიალი, რ-იც მოსახლეობას სთავაზობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ლაბორ. სერვისებს. აღსანიშნავია საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. მესტიაში ტარდება ტრადიციული შეჯიბრება ლუხმედში

(ხელნაკეთი ხის ციგურები). მ. მ-ის მდიდარმა სამთო-კლიმატურმა რესურსებმა განაპირობა საკურორტო მეურნეობის, ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარება. ფუნქციონირებს ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო -სათხილამურო კურორტები. ტურისტულ საქმიანობას რამდენიმე მცირე კერძო ფირმა ახორციელებს. დამყარებულია უშუალო კავშირები დას. ევროპის არაერთ სახელმწიფოსთან (გერმანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი). მომავალში ტურიზმი სვანეთის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად უნდა იქცეს.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მ.მ-ში კარგადაა შემონახული შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი. საკულტო ნაგებობათაგან აღსანიშნავია მაცხოვრის (მაცხვარიში) ქვით ნაგები ორსართულიანი ეკლესია (XIII–XIV სს.), რ-ის კედლებსაც მაღალოსტატურად მოხატული ფრესკები ამკობს; სოფ. ხის მიდამოებში მდებარეობს მონასტერი-ეკლესია ლაგურკა (X ს.), ღვთისმშობლის (ლამარია) ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები) მოხატულობითა და წარწერებით; შემონახულია აგრეთვე სვანური სახლ-სიმაგრეები – გალავნით შემოზღუდული ერთიანი კომპლექსი, რ-შიც შედის კოშკი, მასზე მიდგმული საცხოვრ. (*მაჩუბი*) და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობები. მ. მ. მდიდარია მატერიალ. კულტურის ძეგლებით. მათგან აღსანიშნავია სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს. მაცხოვრის ეკლესია), საკურთხევლის წინა ჯვარი და მაცხოვრის ხატი (მთავარანგელოზთა ეკლესია). სვანეთის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში დაცულია ქართ. ჭედური ხელოვნ. მრავალი ღირშესანიშნავი ნიმუში, ძვ. ქართ. ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლები (*ადიშის ოთხთავი*) და სხვ.

მ. მელიქსეთბეგი